ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

## ცხოველმყოფელი ძალა

დილით ჯარისკაცები სასროლეთზე გავიდნენ. უნდა შეესრულებინათ ვარჯიში ავტომატით სროლაში. ახალგაზრდა ჯარისკაცები გამოცდას იჭერდნენ მებრძოლურ სიმწიფეზე და თუმცა ამ „საბრძოლო ნათლობისთვის" გულმოდგინედ ემზადებოდნენ, შეშფოთების გრძნობა მაინც შეპარულიყო თვითეულის გულში.

ოფიცერმა გამოაცხადა:

— პირველად ისვრიან ათმეთაურები. ახალგაზრდებო, აბა თქვენ იცით — არ ჩამორჩეთ! ისე იმოქმედეთ, როგორც წვრთნაზე — მშვიდად, საზრიანად და წარმატებაც ნაღდი გექნებათ.

სერჟანტებმა ვარჯიში შესანიშნავად შეასრულეს და აი, ჯერი ახალგაზრდა ჯარისკაცებზე მიდგა. პირველ ცვლაში ისროდა მერიგე ა. მამულაშვილიც. ტყვიები დაურიგდათ. ცვლა ცეცხლის ხაზზე გავიდა და სასროლად მოემზადა. გაისმა ბრძანება:

— ცეცხლი!

...გულისფანცქალით ელოდა შედეგებს ა. მამულაშვილი. და აი, ტელეფონით დარეკეს: ყველაზე უკეთ ისროდა ანტონ მამულაშვილი. მისი ტყვიები ერთმანეთში ჩაჯდა, შეფასებაც უმაღლესია — ფრიადი.

გამოცდა მსროლელის სიმწიფეზე დაჭერილია. კაცმა რომ თქვას, ამას თავადაც ელოდა სპორტის ოსტატი ა. მამულაშვილი. იგი ხომ ჯერ კიდევ ჯარში გაწვევამდე დაეუფლა სროლის წარმოების წესებს. თუმცა იგი უპირატესობას პისტოლეტს ანიჭებდა, მაგრამ გამომუშავებული ჩვევები ახლა ძალიან გამოადგა. მან კარგად ისწავლა ავტომატის ნაწილები, ბეჯითად ვარჯიშობდა და წარმატებაც მოიმკო. ახალგაზრდა მებრძოლებში მერიგე ა. მამულაშვილი საუკეთესო მსროლელი გახდა.

არმიაში გაწვევამდე მამულაშვილი თანამედროვე ხუთჭიდით იყო გატაცებული. 1964 წელს მან სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა და რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე ხუთჭიდელი გახდა.

ანტონი, რომელსაც ახლა ჯარისკაცის ფარაჯა აცვია, დღენიადაგ გრძნობს სპორტის ცხოველმყოფელ ძალას. დიახ, ძალას! სპორტი ეხმარება მას ყველაფერში — სასროლეთზე, საველე მეცადინეობაში, ლაშქრობაში...

ანტონი თავისუფალ დროს მუდამ სპორტულ მოედანს მიაშურებს ხოლმე. იგი ბეჯითად ვარჯიშობს და ახალი ორთაბრძოლებისთვის ემზადება.

მეთაურმა დიდი ნდობა გამოუცხადა მას — შტატგარეშე სპორტულ ორგანიზატორად დანიშნა ქვეგანაყოფში. ჭაბუკის მხრებს საკმაო ტვირთი დააწვა — უხელმძღვანელოს სპორტულ მუშაობას, მასობრივი გახადოს იგი. ახალგაზრდა ჯარისკაცმა მონდომებით მოჰკიდა საქმეს ხელი. სპორტული აქტივისტების — ტანმოვარჯიშის, სერჟანტ ნ. ზალევას, მოკრივის, უმცროს სერჟანტ ა. კაპოცინსკის, თანრიგოსანი სპორტსმენის, მერიგე ნ. თვარელაშვილისა და სხვების დახმარებით მან შეძლო ამხანაგების დაინტერესება ფიზიკური კულტურით.

ჯარისკაცები და სერჟანტები ახლა სამხედრო-სპორტული კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადებიან. ისინი საღამოობით ვარჯიშობენ ღერძზე აჭიმვაში, 100 მეტრზე რბენაში, ყუმბარის სროლაში. მათს წვრთნას ბეჯითად ხელმძღვანელობს მამულაშვილი და ახალგაზრდა ჯარისკაცებიც ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს.

თავად მამულაშვილიც სერიოზულად ვარჯიშობს, რათა მუდამ იყოს სათანადო სპორტულ ფორმაში. იგი № ნაწილის ნაკრები გუნდის წევრია. ამას წინათ ეს გუნდი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უძლიერეს მოფარიკავეებს შეხვდა. სპორტის ოსტატმა ა. მამულაშვილმა ღირსეულად დააფასა ნდობა და ყველაფერი იღონა, ამ შეხვედრაში რომ გაემარჯვათ. მისმა მომზადებულმა ნაკრებმა ოლქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. პირად პირველობაში კი ანტონს ბადალი არ აღმოუჩნდა დაშნით მოფარიკავეთა შორის.

ლ. ლარინი.



ს უ რ ა თ ზ ე: ნ სამხედრო ნაწილის საბრძოლო მანქანები მეცადინეობის დროს.

ფოტო ე. ბელაშოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 38 (3015)

1966 წ. 23 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ვის შეხვდა „ბედნიერი ბილეთი"?

დავოსი, 22 თებერვალი. გუშინ საღამოს შვეიცარიის ამ ქალაქის რატუშის პატარა, კოხტა დარბაზში გაიმართა ციგურებით ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. შემდეგ მოეწყო წყვილთა და ერთეულ ვაჟთა შეჯიბრებების მონაწილეთა კენჭისყრა. ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს მოუწიათ მე-6 ნომერი, ხოლო მათი ყველაზე საშიში მეტოქეები მოგვიანებით გამოვლენ ყინულზე. უფრო „ბედნიერი ბილეთი" ერგოთ ტ. ჟუკსა და ა. გორელიკს: ბოლოსწინა — მე-14.

ვ. მეშკოვი 22 მონაწილეში მეშვიდეა.

• • •

დღეს გაიმართა ჩემპიონატის პირველი შეჯიბრებანი — წყვილთა ასპარეზობა სავალდებულო პროგრამით. მოგვყავს საუკეთესო ექვსეულის ტექნიკური შედეგები:

1. ბელოუსოვა — პროტოპოპოვი: ადგილების ჯამი — 10, ქულა — 104,2;
2. ჟუკი — გორელიკი: 17 და 103,1;
3. გლოკსჰუბერი — დანე (გფრ): 39,5 და 97,6;
4. მიულერი — დალმერი (გდრ): 44 და 97,0;
5. ს. კაუფმანი — რ. კაუფმანი (აშშ): 41,5 და 98,2;
6. პფერსდორფი — მატცდორფი (გფრ): 49 და 96,2.

## უკანასკნელი საათი...

◆ მოსკოვი 22 თებერვალი. როგორც ცნობილია, ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე პეტროსიან — სპასკის მატჩის მთავარ არბიტრად დამტკიცებულია ბელგიელი დიდოსტატი ა. ო'კელი. ახლახან შევიტყეთ, რომ მის მოადგილეობაზე თანხმობა განაცხადა ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა მ. ფილიპმა.

◆ მოსკოვი, 22 თებერვალი. ჩოგბურთელთა X ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გაირკვა ვაჟთა მეოთხედფინალის კიდევ 4 მონაწილე. ესენი არიან: მ. მოზერი (დაამარცხა ვიაჩესლავ ეგოროვი), ი. პარმასი (სძლია ვ. კოროტკოვს), ს. ლიხაჩოვი (მოუგო ვ. ვასილიევს) და ა. ივანოვი (გაიმარჯვა ა. ვოლკოვთან).

◆ მოსკოვი, 22 თებერვალი. დღეს აქ გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მეოთხედფინალური მატჩი კოპენჰაგენის „ჰგ"-სა და მოსკოვის „ტრუდის" ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 9:7. როგორც ცნობილია, კოპენჰაგენში გამართული პირველი მატჩიც დანიელების გამარჯვებით დასრულდა. ასე რომ, მოსკოველი ხელბურთელები გათამაშებას გამოეთიშნენ.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ◆ ახალ ამპლუაში

მაგიდის ჩოგბურთში ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ნ. ნოვიკოვს ამ დღეებში თქვენ ნახავთ... საფეხბურთო მინდორზე. იგი შეუდგა წვრთნას ბაქოს „ლოკომოტივში". ეს კოლექტივი წლეულს პირველად გამოვა „ბ" კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში.

— ნოვიკოვს ფეხბურთელის ჩინებული მონაცემები აქვს, — თქვა ბაქოელთა მწვრთნელმა ო. ტიმაკოვმა. — იგი კარგად ხედავს მინდორს, ოსტატურად ფლობს ბურთს, ძლიერად ურტყამს კარში. ვფიქრობ, რომ მისი სახით გუნდს ეყოლება იერიშის კარგი ლიდერი.

ნ. ნოვიკოვი 21 წლისაა. თავისი სპორტული გზა მან სწორედ ფეხბურთით დაიწყო. ცელულოიდის პატარა ბურთმა მხოლოდ შემდგომ გაიმარჯვა ტყავის თანამოძმესთან „ქიდილში".

— მე, რასაკვირველია, არ ვაპირებ მაგიდის ჩოგბურთისთვის თავის დანებებას. ცხადია, არც თუ ისე იოლი საქმე გახლავთ სერიოზულად იმეცადინო სპორტის ორ სახეობაში და, თანაც, ინსტიტუტში ისწავლო. თუ რა გამოვა ამ ექსპერიმენტიდან, ამას დრო გვიჩვენებს, — ამბობს ნოვიკოვი.

ბაქო.

### ◆ სპორტის ისტორია ნიშნებსა და მედლებში

ამ წიგნში ქაღალდის ფურცლები მუყაოთია შეცვლილი. ყოველ მათგანზე დამაგრებულია სპორტული ნიშანი ან მედალი. ამ არაჩვეულებრივი წიგნის საშუალებით შეგიძლიათ წაიკითხოთ სპორტის ისტორია რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

კოლექცია ეკუთვნის მოლდავეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკს ვლადლენ ლიიუროვს. ექსპონატებს იგი აგერ უკვე 9 წელია აგროვებს. პირველ ნომრად წიგნში ჩაკრულია ჟეტონი, რომელიც ლიიუროვმა, მაშინ ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში დაიმსახურა მძლეოსანთა ასპარეზობისას.

საბჭოთა სპორტისადმი მიძღვნილი განყოფილება იხსნება 1912 წელს ჩამოსხმული მედლით, რომელზეც გამოსახულია ფეხბურთელი.

50 ქვეყანაა წარმოდგენილი განყოფილებაში „საზღვარგარეთის სპორტი". ყველაზე ძველი ექსპონატი დათარიღებულია 1890 წლით. ესაა ბერლინის ძალოსანთა კლუბის საიუბილეო მედალი

ლიიუროვის კოლექცია ამას წინათ შეივსო მე-2000 ექსპონატით.

კოლექციონერის მომცრო ბინა მუზეუმს მოგაგონებთ. იგი მორთულია საბჭოთა და უცხოეთის კლუბების ათობით ვიმპელით. მაგრამ ეს კოლექცია ერთადერთი არ გახლავთ ოჯახში. მეორე, არანაკლებ მდიდარი კოლექცია ეკუთვნის ვლადლენის მეუღლეს — სვეტლანას, რომელიც აგროვებს მსახიობთა ფოტოსურათებს.

კიშინიოვი.

### ◆ კომკავშირული ორწლედი

ბაშკირეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტმა გამოაცხადა სპორტული ორწლედი. საბჭოთა ქვეყნის საიუბილეოდ ახალგაზრდობის დამკვრელ რაზმეულთა მიერ აშენდება 100-ზე მეტი დახურული საცურაო აუზი, სპორტის სასახლე, სათხილამურო და გამქირავებელი ბაზა, საჭადრაკო-საშაშო კლუბი...

რესპუბლიკის კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სპორტულ ორგანიზაციებს დაეხმარებიან ამ 2 წლის განმავლობაში 120 სპორტის ოსტატის, 2.800 პირველთანრიგოსნისა და 250.000 სხვა თანრიგების სპორტსმენთა მომზადებაში.

კომკავშირული ორწლედის დროს ჩატარდება შეჯიბრებები სალავათ იულაევისა და ა. მატროსოვის სახელობის ჯილდოებზე, აგრეთვე „სოფლის სპორტის", ეროვნული თამაშების — „საკენისა" და „უკტა აუტის" კვირეულები, სოფლის ახალგაზრდობის შეჯიბრებები დევიზით — „ბატირთა ოლიმპიური ჩირაღდანი".

უფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტულიპების ქვეყნის სარბიელზე

ნ. გაფრინდაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

როგორც კი დამთავრდა ბევერვეიკის საჭადრაკო ფესტივალი, 31 იანვარს გამოვემგზავრე ამსტერდამში, იქიდან კი — ზვოლში. ჩემთან ერთად იყვნენ ბულგარელი დიდოსტატი ბობოცოვი და იუგოსლავიელი ოსტატი ოსტოიჩი. მათაც მიეჩქარებოდათ ზვოლის საერთაშორისო ტურნირზე.

მასპინძლებმა — ერთ-ერთი სამრეწველო ფირმის მუშაკებმა — გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. ფირმა რეკლამის მიზნით საჭადრაკო შეჯიბრებას მართავს. შესვენების შემდეგ ყველანი შევიკრიბეთ სასტუმრო ჰოლში და... ტურნირიც დაიწყო. ასე განსაჯეთ, კენჭისყრაც კი არ ჩატარებულა. პარტიები შედგა ისე, როგორც სიაში ვეწერეთ. გაგვაფრთხილეს: ბრძოლა ექვს დღეში უნდა დაამთავროთო. ცხადია, 10 მოჭადრაკე ამ დროში, ასე ვთქვათ, ვერ ჩავეტეოდით, ამიტომ ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით: სულ მოეწყო 7 ტური (ამიტომ გამოიყურება ასე უჩვეულოდ აქ მოყვანილი ცხრილი).

საბჭოთა მოჭადრაკეებისთვის ასეთ ასპარეზობაში მონაწილეობა უჩვეულოა (უცხოელები მას შეჩვეული არიან). პირველსავე ტურში ბობოცოვთან მომიწია შეხვედრა (ისიც შავებით), რაც ძალიან არ მესიამოვნა.

როგორც აქ მოტანილ ცხრილში ამოიკითხავთ, დიდოსტატმა „დამჩაგრა", მაგრამ შემდგომ არც ერთი პარტია არ წამიგია, თუმცა ურიგო მეტოქეებს როდი შევხვდი. მაგალითად, დასავლეთგერმანელი საერთაშორისო ოსტატი, 62 წლის ლ. რელშტაბი საქვეყნოდ აღიარებული მოჭადრაკეა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მერანის დაცვის თეორიაში ცნობილია რელშტაბის იერიში. ან კიდევ გავიხსენოთ ინდონეზიის ჩემპიონი, ახალგაზრდა იონგ ვოკ ხვა, რომელმაც თვით ბობოცოვსაც კი შავი დღე აყარა.

აი, ჩემი პარტია ჰოლანდიელ ვისერთან.

**ვისერი — გაფრინდაშვილი**

ძველინდური დაცვა

**1. g3 c5 2. კg2 მc6 3. e4 g6 4. მe2 e5 5. d3 კg7 6. c3 d6 7. 0—0 მge7 8. მa3 0—0 9. კe3 კg4.**

პოზიცია რთულია. თეთრები ემზადებიან d3—d4-თვის, რაც მათ ცენტრში გარკვეულ უპირატესობას მოუპოვებს. ამიტომ ბოლო სვლით შავები იწყებენ f პაიკის წინსვლას, რითაც აფუჭებენ თეთრების პოზიციის „ვარცხნილობას".

**10. f3 კe6 11. ლd2 ლd7 12. ეfc1.**

ირკვევა, რომ თეთრებმა ხელი აიღეს d პაიკის გაწევაზე. ახლა ისინი გაიტაცა b2—b4-ის თამაშის იდეამ.

**12. ... ეad8 13. ლe1 b6 14. c4.**

ვისერმა კვლავ შეცვალა გეგმა. რატომ? შავების მუქარა d6—d5 საკმაოდ ძარღვიანი ჩანს. ცენტრის ჩაკეტვით თეთრები მხოლოდ დროებით იგერიებენ თავდასხმას. შავები თანდათან ავითარებენ შეტევას, რომელიც აშკარავებს ჰოლანდიელის პოზიციის ნაკლოვანებებს.

**14. ... f5 15. ლd2 ეf7 16. კg5 ეdf8 17. მb5 a6 18. მ5c3 მd4 19. მ:d4 ed 20. მd5 კ:d5 21. ed.**



| | მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბობოცოვი /ბულგარეთი/ | | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | | 1 | 1 | | 5½ | I-II |
| 2 | იონგ ვოკ ხვა /ინდონეზია/ | 1 | | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | | | 1 | 5½ | I-II |
| 3 | გაფრინდაშვილი /სსრ კავშირი/ | 0 | ½ | | ½ | | 1 | 1 | | ½ | 1 | 4½ | III-IV |
| 4 | ოსტოიჩი /იუგოსლავია/ | 0 | 0 | ½ | | 1 | | 1 | 1 | 1 | | 4½ | III-IV |
| 5 | ვეიდე /ჰოლანდია/ | ½ | 0 | | 0 | | 1 | 1 | 0 | | 1 | 3½ | V |
| 6 | სხუნდებეისი /ჰოლანდია/ | 0 | ½ | 0 | | 0 | | | 1 | ½ | ½ | 2½ | VI-VIII |
| 7 | ვეისი /გფრ/ | | ½ | 0 | 0 | 0 | | | ½ | ½ | 1 | 2½ | VI-VIII |
| 8 | ველდე /გფრ/ | 0 | | | 0 | 1 | 0 | ½ | | ½ | ½ | 2½ | VI-VIII |
| 9 | რელშტაბი /გფრ/ | 0 | | ½ | 0 | | ½ | ½ | ½ | | 0 | 2 | IX-X |
| 10 | ვისერი /ჰოლანდია/ | | 0 | 0 | | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | | 2 | IX-X |

კრიტიკული მდგომარეობა. თეთრების სვლა რომ იყოს, ისინი შეეცდებოდნენ კონტროლი გაეწიათ e5 უჯრისთვის. მაგრამ, რადგან პირიქითაა, შავები უპირატესობას აღწევენ.

**21. ... f4! 22. g4.**

22. კ:f4 შემდეგ ვაპირებდი 22. ... ე:f4 23. gf კh6-ის თამაშს და მთლიანად ვეუფლებოდი შავ უჯრებს. ვფიქრობ, რომ ვისერისთვის ჯობდა ამ ვარიანტზე წასვლა. როცა პარტიის დამთავრებისას ჰოლანდიელს შევთავაზე ბოლომდე გავვერჩია ეს ვარიანტი, მან ეს არც კი ჩათვალა საჭიროდ, ე. ი. გამაგებინა, რომ სწორად ვერ შეაფასა შექმნილი სიტუაცია.

**22. ... h6 23. კh4 g5 24. კf2 მg6.**

შავების უპირატესობა აშკარაა. თეთრების მეფის დატყვევება მხოლოდ დროის საქმეა.

**25. ეe1 მe5 26. ეe4 h5 27. h3 hg 28. hg კf6** (h ვერტიკალის დაპყრობის მიზნით, თეთრები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ გეგმის ნეიტრალიზაციას). **29. ლd1 ეh7 30. მფf1 მფg7 31. კg1 ეfh8 32. ეb1** (კონტრშეტევის იმედით. ამაო ცდაა).

**32 ... b5 33. b3 ეb8 34. ეe2 ლb7 35. ეc1 bc 36. bc ლb4 37. ეd2 ლa3 38. ეb1 ეhh8 39. ე:b8 ე:b8 40. ლc2 კd8** და თეთრები დანებდნენ, ვინაიდან მუქარა კa5 და ეb2 მოუგერიებელია.

ტურნირის დროს ჰოლანდიური პრესა ბევრს წერდა მოჭადრაკეებზე, ათავსებდა მათს ფოტოსურათებს. ზვოლელები ხალისით ესწრებოდნენ ასპარეზობას. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტულიპების ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობებია ჭადრაკი (ამას ხელი შეუწყო მ. ეივეს მსოფლიო ჩემპიონობამ) და შაში (მსოფლიო ჩემპიონატებში მრავალი ჰოლანდიელის გამარჯვებამ).

ტურნირის მკაცრი რეჟიმის გამო თითქმის არ გავცნობივარ ქალაქს. თამაშს დილის 10 საათზე ვიწყებდით და, თუ პარტია გადაიდებოდა, ბრძოლა 20 საათამდე გრძელდებოდა.

5 თებერვალს ტურნირი დავამთავრეთ. მისი საზეიმო დახურვის შემდეგ ისევ ამსტერდამში ჩამოვედი. 2 დღე დავყავი ამ მშვენიერ ქალაქში, ვეცნობოდი მის ღირსშესანიშნაობებს. 8 თებერვალს კი დიდოსტატმა პ. კერესმა გამაცილა ვოგზალზე. — სამშობლოში ვბრუნდებოდი.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჰოლანდიაში დიდი პატივით ხვდებიან საბჭოთა მოჭადრაკეებს.

# 10 საქართველოს 10 საუკეთესო

## მძლეოსნობა

### 1965 წლის შედეგების მიხედვით

110 მ თარჯრბენი — ი. დიაჩკოვი — 14,9. 16. X, ალმა-ათა, რ. ქვაჩაკიძე — 15,3 (38), თბილისი, „ბურევესტნიკი". 24. II, ლენინგრადი; გ. გვინჩიძე — 15,5 (37), თბილისი, „სპარტაკი". 24. IV, თბილისი; ს. სიდელნიკოვი — 15,5 (44), თბილისი, „ბურევესტნიკი". 10. XI, ბაქო; ი. სანგულია — 15,6 (36), სოხუმი, „დინამო". 2. VII, ბათუმი; ვ. ლანჩავა — 15,7 (45), თბილისი, „დინამო". 2. VII, ბათუმი; ზ. ფოცხვერაშვილი — 15,7 (40), გორი, „ბურევესტნიკი". 24. VII, ბორჯომი; ბ. სამოილენკო — 16,0 (36), თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. V, თბილისი; გ. ბუკია — 16,2 (39), ფოთი, „განთიადი". 26. VI, თბილისი; ი. ჩირიკაშვილი — 16,3 (43), თბილისი, „დინამო". 16. X, ალმა-ათა;

საშუალო შედეგი: 1964 წ. — 15,3; 1965 წ. — 15,7.

200 მ თარჯრბენი — ე. ლომთაძე — 23,7. 28. VIII, კრასნოდარი; ი. კოზელსკი — 24,1. 6 .VII, კიევი; ჯ. სხულუხია — 25,0. 25. VII, ბორჯომი; თ. კობჩიკი — 25,0 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26. VI, თბილისი; ს. სიდელნიკოვი—25,8. 10. IX, თბილისი; კ. ნარმანია — 26,1 (47), სოხუმი, განათლების განყოფილება. 25. VII, მინსკი; მ. ფრიდმანი — 26,4 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 25. VII, მინსკი, ს. ველიჩკო — 26,4 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი". 10. IX, თბილისი; ვ. ლანჩავა — 26,7. 9. V, თბილისი; ზ. ალხანაიძე — 27,0 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 25. VII, მინსკი; ბ. კიუტი — 27,0 (37), სოხუმი, „დინამო". 8. IX, თბილისი;

საშუალო შედეგი: 1964 წ. — 25,6; 1965 წ. — 25,6.

400 მ თარჯრბენი — ი. კოზელსკი — 53,1. 3. VII, მინსკი; თ. კობჩიკი — 54,7. 30. V, თბილისი; ჯ. სხულუხია — 54,8. 11. VIII, მოსკოვი; მ. ტულუში — 55,6 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი". 18. V, თბილისი; ბ. კიუტი — 57,0. 8. V, თბილისი; ა. მოსულიშვილი — 57,8 (42), თბილისი, ასკ. 12. VI, ერევანი; პ. ნაგორნი — 58,0 (38), თბილისი, „განთიადი". 29. VII, ბორჯომი; ს. ველიჩკო — 1.00,0. 30. V, თბილისი; ა. ადეიშვილი — 1.01,4 (43), თბილისი, „სპარტაკი". 10. VII, თბილისი; ლ. ნიკოვოსოვი — 1.01,6 (34), თბილისი, „სპარტაკი". 24. VI, თბილისი;

საშუალო შედეგი: 1964 წ.— 57,2; 1965 წ. — 57,4.

3000 მ დაბრკოლებებით — გ. იმნაძე — 9.16,3. 15. VI, ბათუმი; ვ. ნესტერენკო — 9.21,4. 11. VIII, მოსკოვი; ვ. რუკინი — 9.32.2. 29. V, თბილისი, ვ. ზირიანოვი — 9.41,2 (45), რუსთავი, „დინამო". 21. V, რუსთავი; ნ. ზახაროვი — 10.09,4. 27. VI, თბილისი; ე. ოთხოზორია — 10.58,0 (41), ზუგდიდი, „კოლმეურნე". 9. IX, თბილისი; ნ. მირონოვი — 10.59,9 (40), სოხუმი, „დინამო". 9. IX, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1964 წ.—10.19,6, 1965 წ. — 10.26,5.

სპორტული სიარული 20 კმ — ა. შჩერბინა — 1:30 42,0 (31), თბილისი, „სპარტაკი". 14. X, ალმა-ათა; ი. დელა-როსა — 1:32.08,0 (39), თბილისი, „განთიადი". 8. VIII, მოსკოვი; ი. პროკოშკინი — 1:45.56,4 (32), თბილისი, „სპარტაკი". 26. VI, თბილისი; ა. ფიოდოროვი—1:45.59,6 (38), თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. IV, თბილისი; ვ. პავლოვი — 1:49.01,0 (41), თბილისი, „განთიადი". 30. IV, თბილისი; ვ. ლიბერმანი — 1:56.10,0 (41), თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. IV, თბილისი.

სპორტული სიარული 50 კმ — ა. შჩერბინა — 3:57.28.0, 17. X, ალმა-ათა, ი. დელა-როსა — 4:12.19,0. 11. VIII, მოსკოვი.

სიგრძეზე ხტომა — ვ. სანეევი — 753. 24. X, თბილისი; ა. ბედუკაძე — 737. 22. VIII, მოსკოვი; რ. ქვაჩაკიძე — 723. 8. V, თბილისი; ი. დიაჩკოვი — 723. 25. IX, ერევანი; რ. ჩუბინიძე — 717 (43), თბილისი, ასკ. 8. V, თბილისი; ი. ჩირიკაშვილი — 702. 3. IX, თბილისი; ლ. დარახველიძე — 696 (39), თბილისი, „სპარტაკი". 25. VIII, კრასნოდარი; ა. აგრბა — 695 (47), სოხუმი, „დინამო". 14. XI, სოხუმი; ნ. დანილენკო — 693 (47), სოხუმი, „დინამო". 19. VI, ბათუმი; რ. მამალაძე — 693. 7. VIII, მოსკოვი.

საშუალო შედეგი — 1964 წ.—721; 1965 წ. — 713.

სიმაღლეზე ხტომა — თ. მდივანი — 205 (41), თბილისი, „ბურევესტნიკი". 16. V, ტულა; რ. ამბარიანი — 205 (40), თბილისი, ასკ. 4. X, ერევანი; ნ. სავანელიძე — 203 (47), თბილისი, „განთიადი". 23. XI, თბილისი; ა. ოგანეზოვი — 195 (38), ბორჯომი, „სპარტაკი". 24. VII, ბორჯომი; ი. არშბა — 190 (45), თბილისი, „დინამო". 8. V, თბილისი; ი. ბოლქვაძე — 190 (43), ბათუმი, „დინამო". 3. VI, ბათუმი; ი. ჩირიკაშვილი — 190. 26. VI, თბილისი; მ. ტულუში — 189. 15. VI, ტულა; რ. ქვაჩაკიძე — 186. 25. VII, ბორჯომი; ლ. გუგეშაშვილი — 185 (45), თბილისი, „დინამო". 16. III, თბილისი; ვ. ბონდარენკო — 185 (46), ბათუმი, „ლოკომოტივი". 12. III, ლენინგრადი; ა. წამალაშვილი — 185 (37), თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. V, თბილისი; ა. შავლოხოვი — 185 (43), თბილისი, „სპარტაკი". 26. VI, თბილისი; ვ. სანეევი — 185. 14. XI, სოხუმი.

საშუალო შედეგი: 1964 წ. — 199; 1965 წ. — 190,8.

(გაგრძელება იქნება).

# ქიწნისური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, გორის რაიონის ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის სპორტის მოყვარულთათვის კეთილმოწყობილ ფიზკულტურულ ბაზებზე უკეთესი რა იქნებოდა! ჰოდა, იყო ახალგაზრდების ოფლით მორწყული მშვენიერი მინდორი ფეხბურთისა, მოედანი ფრენბურთისა და ასპარეზი ჭიდაობისა. ეს სარბიელნი უანგაროდ ემსახურებოდა ყველას. სანიმუშო ფიზკულტურულ კოლექტივს ჰყავდა ნაკრები გუნდები, იზრდებოდნენ თანრიგოსნები, საზოგადოებრივი კადრები.

ერთხელ უხილავი „შავი მაგია" მოევლინა კოლექტივს და ფიზკულტურის მესვეურთ სენად დაუტოვა გულმავიწყობა. 500-კაციან კოლექტივში შარშან ალარავის მოაგონდა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს არჩევნების ჩატარება და მის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება. ისიც ვერავინ შენიშნა, რომ ნელნელა ჩაკვდა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა.

სად იყო და სად არა, ერთ მშვენიერ დღეს მეურნეობას მივადექით „კოლმეურნის" რაისაბჭოს ახალარჩეული თავმჯდომარე გ. გაბუნია და ამ სტრიქონების ავტორი.

— ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობა გვაინტერესებს, — ვუთხარით დირექტორის მოადგილეს.

— ვერაფერს გეტყვით, ადგილკომს მიაკითხეთ, — იყო პასუხი.

ჩვენც მივაკითხეთ. თავმჯდომარე ხ. ხოხაშვილი თურმე სპორტის თავგამოდებული ქომაგი გახლავთ, მაგრამ ჰოი, გულმავიწყობავ... შარშანდელი მუშაობიდან ვერაფერი გაიხსენა.

— ვინაა ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, სექციები თუ სექციობენ, შარშან რაიმე ღონისძიება თუ ჩაატარეთ? — შევახსენეთ მასპინძელს.

იგი დუმდა. ბოლოს ხ. ხოხაშვილმა საქაღალდიდან მეურნეობის საფინანსო ანგარიშის ბლანკი ამოიღო და მოგვაწოდა. იქ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის 600 მანეთი „იჯდა", ხოლო კულტმასობრივი მუშაობისთვის — 200. „იჯდა" და ახლაც ზის: ამ საკმაო თანხიდან შარშან კაპიკიც არ დახარჯულა.

— კრებებზე თუ განიხილეთ ფიზკულტურული მუშაობის საკითხი?

— არაო, — დუმილით გაიქნია თავი ადგილკომის თავმჯდომარემ.

მაშინ კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე წამოეშველა:

— მგონი განვიხილეთო, — წამოიძახა გოგონამ, მაგრამ მისი გულმავიწყობაც მალე დამტკიცდა: შარშანდელ ოქმებში ამ საკითხზე სიტყვაც არ იყო დაძრული.

დავათვალიერეთ გაპარტახებული ბაზები, დაობებული სპორტინვენტარი, საწყობში დაყანგული ძვირადღირებული შტანგა და უკან გამოვწიეთ, რათა ყველასთვის მოგვეთხრო ქიწნისური იყო და არა იყო რა...

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. კარალეთი,
გორის რაიონი.



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აკრობატთა მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ხ. კრასიკოვს მრავალი სპორტსმენი აღუზრდია, რომლებსაც ბევრჯერ უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ პირველობებში. მონდომებული მწვრთნელი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვებში მეცადინეობას.

სურათზე: ხ. კრასიკოვი ავარჯიშებს თავის ნორჩ აღსაზრდელებს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## სპორტული ქრონიკა

### ✦ თბილისი

სალოკომოტივო დეპოს დამხმარე საამქროში ამას წინათ გაიმართა ლექცია „ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა". ლექცია წაიკითხა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიის კათედრის გამგემ, დოცენტმა ვ. ელაშვილმა.

ლ. მარტჩიანი.

### ✦ ცხინვალი

„განთიადის" საოლქო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 48 სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. მარგიევმა, მ. ხაჭაპურიძემ, რ. გერგაულოვმა, ე. ვალიევმა, ს. ცარიტოვმა, გ. პაპაშვილმა, ტ. თედეევმა, ვ. ჯიოევმა, ს. ბიაზროვმა (ყველანი — ცხინვალი) და ა. თედეევმა (ქვაისი).

ვ. მელქოევი.

### ✦ ბორჯომი

პროფტექნიკური სასწავლებლის კლუბში ამ სასწავლებლისა და სატყეო ტექნიკუმის კოლექტივებმა გამართეს საღამო, რომელიც მიეძღვნა ფიზაღზრდის ღვაწლმოსილი პედაგოგის ა. გევორქიანის მოღვაწეობის 25 წლისთავს.

ვ. ხუციშვილი.

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 35, 36.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმის „დინამო“: ეს უკვე დიდი ფეხბურთია



ჩვენი მიმოხილვა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდზე გვინდა დავიწყოთ... ინციდენტით, რომელიც ამას წინათ მოხდა აქაური სტადიონის ტრიბუნებზე.

მიმდინარეობდა ორმხრივი საწვრთნელი მატჩი დინამოელთა შორის, რომელსაც საკმაო რაოდენობის მაყურებელიც ესწრებოდა ფეხბურთში ჩახედულ ხალხს მოგეხსენებათ, რაცაა თებერვლის ფეხბურთი: სპორტსმენის ორგანიზმი ჯერ არაა შესული მოქმედებაში, ბურთი არ გემორჩილება, სისწრაფე აღუდგენელია, დიდი დატვირთვის მიყენება კუნთებისთვის საზიანოა ერთი სიტყვით, თებერვალი — თებერვალია.

მაყურებელთა ერთი ნაწილი, ეტყობა, იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელიც არც თებერვალს დაგიდევს და არც აგვისტოს, არც მოსამზადებელ პერიოდს და არც გუნდის ნამდვილ საბრძოლო ფორმას ამიტომ იყო, რომ ტრიბუნის ამ მხრიდან წამოვიდა ერთობ არასასიამოვნო წამოძახილები ფეხბურთელთა მისამართით.

უმეცარნი, რა თქმა უნდა, გააძევეს სტადიონიდან.

შეიძლება ეს ამბავი არც ღირდა მოსაყოლად, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავინანეთ მისთვის მცირეოდენი ადგილი, ვინაიდან არ გვსურს გამეორდეს ზემოაღნიშნული ფაქტი.

ბათუმის საფეხბურთო წრეები, აჭარის სპორტული საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა ადგილს „ა“ კლასის II ჯგუფში. მართალია, საამისოდ საჭირო იყო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გარკვეული რეფორმა, მაგრამ თუ გადავხედავთ ბათუმელ ფეხბურთელთა მაჩვენებლებს „ბ“ კლასის ზონებში, მათ ძიერ დაკავებულ I ადგილებს, ფედერაციის რეფორმას საფუძვლად ედება ძლიერი, მონოლითური, კარგი პერსპექტივების მქონე გუნდის შემდგომი ზრდის ლოგიკური გარანტია, ახალი, უფრო სწორად — განახლებული საფეხბურთო ცენტრის შექმნა.

ბათუმში არაერთი პირველხარისხოვანი მოთამაშე აღზრდილა, რომელთა სახელები კარგად იციან ფეხბურთის მოყვარულებმა. აღიზრდებიან ახლებიც. მათი რიცხვიდან, ვინც დღეს აქაური პიონერთა პარკის სტადიონზე ვარჯიშობს ან, უბრალოდ, მწვანე მოლზე დასდევს ბურთს. განა ტყუილად გავიდა ბათუმის „გაზაფხული“ შარშან „ტყავის ბურთის“ ტურნირის საკავშირო ფინალში, ე. წ. ეზოებისა და ქუჩების გუნდების შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე? ეს ის ულევი მასაა, რომელიც დიდი ფეხბურთის მომავალს ქმნის და საიმედო რეზერვებია ოსტატთა გუნდებისთვის.

მაგრამ სადღეისოდ, „ა“ კლასში ამ უაღრესად საპასუხისმგებლო გამოსვლების წინ, საჭირო შეიქნა ბათუმის „დინამოს“ ხელახალი ჩამოყალიბება, სერიოზული მასშტაბების ხარეორგანიზაციო სამუშაოები, ახალ მოთამაშეთა ძებნა, დუბლშემადგენლობის ჩამოყალიბება და ა. შ. ეს უკვე ის დიდი ტყეა, რომელსაც დიდი ნაფოტიც სცვივა. სწორედ ამიტომ მოიწვიეს აჭარის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა დინამოელთა კოლექტივის სამეთაუროდ ისეთი გამოცდილი ავტორიტეტები, საქმის მცოდნე და კეთილსინდისიერი სპეციალისტები, როგორიც ვ. რამიშვილი და ნ. ჩხატარაშვილი, ხოლო მწვრთნელად შეარჩიეს ადგილობრივი კადრების კარგი მცოდნე გ. ჩავლეიშვილი. ფაქტიურად, გუნდი ახლა იქმნება. ამ პერიოდს, ბუნებრივია, თან სდევს სიძნელეები, შეფერხებანი, პრობლემები და, რა დასამალია, შეცდომებიც.

და აი, უცებ შვიცთა ხტვენა ორმხრივ საწვრთნელ მატჩში! ეს ყოვლად დაუშვებელი „ნიჰილიზმი“ ახლავე ძირშია ამოსაკვეთი. ახალი, გაზრდილი ამოცანების წინაშე მდგარ კოლექტივს ესაჭიროება ყოველმხრივი ხელშეწყობა, გამხნევება, ესაჭიროება პატრიოტული ატმოსფეროს შექმნა, რათა თვითეულმა ფეხბურთელმა იგრძნობს მშობლიური კედლების სითბო და მხარდაჭერა.

ახლა მივუბრუნდეთ თვით გუნდს, რომელიც ინტენსიურად, გულმოდგინედ ემზადება სეზონისთვის. ძველი შემადგენლობიდან ბათუმის „დინამოში“ დარჩნენ: ა. კვაჭაძე, ვ. ჯოხაძე, ა. გიორგიადი, ვ. დიმანოვი, თ. ცერცვაძე, ზ. დანელია, ა. ქიქავა, გ. ყურშუბაძე, ტ. ვერულიძე, დაბრუნდნენ ა. შაფათავა, ა. ონიანი. ახალი წევრები არიან: რ. სირაძე, ა. კიზირია, რ. ძოძუაშვილი, მ. კობიაშვილი, ჯ. ჯობავა, ჯ. აბაიშვილი, ი. სილაგაძე. არის სხვა შევსებაც: ჯაიანი ფოთიდან, დადეშქელიანი ზუგდიდიდან, კონიაშვილი რუსთავიდან.

ლაპარაკი ძირითად შემადგენლობაზე ჯერ ადრეა. ძიება დაიწყო, მოთამაშეთა შესაძლებლობებს, ამპლუასა და ფორმას განსაზღვრავს ახლო მომავალი. საამისოდ გუნდის ხელმძღვანელობას დიდ ხელშეწყობად მიაჩნია თბილისის ტურნირი, სადაც უშიშრად შეიძლება ვარიანტებისა და „რაციონალური მარცვლის“ ძიება.

გუნდის პერსპექტივებზე, მომავლის გეგმაზე უფროსი მწვრთნელი ვ. რამიშვილი ასე ფიქრობს:

— მართალია, დებიუტანტების როლში გამოვდივართ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებთ დაცვით ფეხბურთს. ეს არც მაყურებელს მოსწონს, არც ჩვენს ბუნებაშია. ყველაფერი უნდა განსაზღვროს მდგომარეობამ და მოწინააღმდეგემ და ამის შესაბამისად შეიძლება ცალკეულ მატჩებში 5 ფორვარდითაც ვითამაშოთ. დაპირება ახალბედა გუნდის მხრივ ძნელი საქმეა, მაგრამ გამიზნული გვაქვს პირველ ათეულში მოვხვდეთ ჩვენს ქვეჯგუფში. თბილისის ტურნირის გარდა დაგეგმილი გვაქვს სხვა საკონტროლო თამაშებიც. ეს იქნება ჩვენი მზადების საბოლოო ეტაპი.

* * *

სანამ მწვრთნელები ფეხბურთელებთან მუშაობდნენ, ვეწვიეთ მშენებლებს, რომლებიც სტადიონის ყოველ კუთხეში ფუსფუსებენ. ცნობილია, რომ „ა“ კლასში მონაწილე გუნდის სტადიონი 20 ათას მაყურებელს უნდა იტევდეს ამიტომ საჭირო შეიქნა ბათუმის ცენტრალური სპორტული ბაზის რეკონსტრუქცია. ბევრი რამ უკვე გაკეთდა: გაიზარდა ადგილების რაოდენობა ძველ ტრიბუნებზე. განახლდა სათამაშო მინდვრის საფარი, გეგმაშია ელექტროტაბლოს მოწყობა. მაგრამ მთავარია ის ახალი ტრიბუნა, რომელიც ზღვის საპირისპირო მხარეს უნდა აღიმართოს. სწორედ მან უნდა დაიტიოს მაყურებელთა ახალი ნაკადი, რომელიც „ა“ კლასის გუნდების სანახავად მოვა აქ.

სამუშაოები ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობს. ახლა საჭიროა მათი კიდევ უფრო გაძლიერება, ტემპების მომატება, რომ პირველი მატჩის დღეს ყველაფერი რიგზე იყოს.

ბათუმელი ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელიან თავიანთი გუნდის დებიუტს, ელიან დიდი ფეხბურთის მოსვლას მათს ქალაქში, ელიან პირველ წარმატებებს.

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *



სურათებზე: მარცხნივ — ბათუმელ ფეხბურთელთა დილის გამამხნევებელი ვარჯიში ზღვის პირას; მარჯვნივ — წვრთნა სტადიონზე. ცენტრში გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. რამიშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## [illegible]

● მოსკოვი, 21 თებერვალი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივი „დინამოსა“ და ბრატისლავის „სლავიის“ ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. მოსკოველებმა ამჯერადაც დაამარცხეს მეტოქე (3:0 — 15:7, 15:4, 16:14) და გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.

● ხარკოვი, 21 თებერვალი. ადგილობრივი „დინამოს“ სტადიონის დიდ დარბაზში გუშინ დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება. „ფარდის დაშვების“ წინ დამყარებულ იქნა სსრ კავშირის იუნიორთა 2 ახალი რეკორდი აკვრაში. მოსკოვის დინამოელმა ვ. იაკუბოვსკიმ (მძიმე წონა) აწვენა 167 კგ, ხოლო კუიბიშევის „ბურევესტნიკის“ ათლეტმა ი. კაზაევმა (ქვემძიმე წონა) — 165 კგ წინდღით კიდევ 1 ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მოსკოვის ბურევესტნიკელმა კ. ბალდინმა (საშუალო წონა): მან აკრა 164,5 კგ. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს არმიელებმა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი“, III — „სპარტაკი“. შეჯიბრებაში სულ მონაწილეობდა 15 გუნდის 115 ათლეტი.

● ჰოლმენკოლენი, 21 თებერვალი. მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში დღეს დამთავრდა ორჭიდელთა ასპარეზობა. გ. ტომამ (გფრ), რომელიც ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ II ადგილზე იმყოფებოდა, კარგად გაირბინა 15 კმ და 444,66 ქულით მოიპოვა ოქროს მედალი. ვერცხლის მედალს დაეპატრონა 21 წლის ბავარიელი ფ. კელერი (443,04 ქულა). ბრინჯაოს პრიზიორი გახდა შვეიცარიელი ა. კელინი (440,73). ამ ფაქტმა ჟრუანტელი გამოიწვია, ვინაიდან ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ კელინი 34-ე ადგილზე იყო. პრიზიორებში იგი გაიყვანა სათხილამურომ: მან ბრწყინვალედ გაირბინა 15-კილომეტრიანი ძნელი ტრასა — 52.12,9. თავის უახლოეს მეტოქეს მან 2 წუთით გაუსწრო! ლენინგრადელი ბ. ჩერნომუხინი V ადგილზეა (434,4), ხოლო მისი თანაქალაქელი ი. ხიმონოვი — VI (430,16). მსოფლიოს უძლიერეს ორჭიდელთა ათეულის ბოლოშია მესამე ლენინგრადელი — 23 წლის ე. ლოგინოვი (426,61).

● ბელგრადი, 21 თებერვალი. იუგოსლავიის დაბა კრანსკა-გორაში გაიმართა მსოფლიოს ჟურნალისტთა ტრადიციული ასპარეზობა სათხილამურო სპორტში. სლალომში საუკეთესო იყო ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედკოლეგიის წევრი ვ. პრეობრაჟენსკი. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ მასპინძლები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20-ზე მეტი ქვეყნის (სსრ კავშირის, აშშ-ის, კანადის, ავსტრიის, პოლონეთის, იუგოსლავიის და სხვ.) 140-მდე ჟურნალისტი.

● მოსკოვი, 21 თებერვალი. „შახტიორის“ დახურულ კორტებზე მწვავედ და საინტერესოდ მიმდინარეობს ჩოგბურთელთა X ტრადიციული ტურნირი, რომელშიც ასპარეზობენ 6 ქვეყნის სპორტსმენები. დღეს გამოვლინდა ორი ნახევარფინალისტი ქალთა ერთეულების თანრიგში. ესენი არიან საბჭოთა ჩოგბურთელები მ. კული და გ. ბაკშეევა.

# აღვადგინოთ ტრადიციები!

### საუბარი ვეტერან ფეხბურთელთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ა. ელიავასთან

ბათუმის ფეხბურთს ერთ დროს არ ჭირდებოდა რეკომენდაციები. აქაური გუნდი ჯერ კიდევ ომამდელ წლებში გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატში „ბ“ კლასის კატეგორიით (მაშინ ეს არც ისე ხელწამოსაკრავი საქმე გახლდათ). აქაურ მინდვრებზე აღიზარდნენ სხვადასხვა წლის ცნობილი ფეხბურთელები გ. ფსაროსი, ბ. ფროლოვი, კ. პეხნევალიდი, გ. ართმიძე, ა. მარუაშვილი, რ. კარიჩევი, გ. ტანტიბა, ი. სარჯველაძე, ა. კავაზაშვილი, ი. დათუნაშვილი, ა. კვაჭაძე და სხვ. ბათუმთანაა დაკავშირებული აგრეთვე ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე ოსტატის ა. ღოღობერიძის კარიერის დასაწყისიც.

მახსოვს, ომის წლები იყო. ვვარჯიშობდით ქალაქის სტადიონზე და რეიდზე მდგარი სამხედრო გემების გუნდებს ვეთამაშებოდით ხოლმე. კარს უკან, როგორც წესი, მუდამ იდგა ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი შავგვრემანი ახალგაზრდა. ერთხელ იგი მოვიდა ჩემთან და მთხოვა — მათამაშეთო.

— სადაური ხარ? — ვკითხე.

— სოხუმელი. ავთანდილ ღოღობერიძე. ისე, ბაპას მეძახიან.

— ჯარში ხარ?

— დიახ, აქვე დგას ჩვენი ნაწილი — სტადიონთან. მეკავშირე ვარ.

ვითამაშეთ და განცვიფრებული დავრჩით. სახაზო გემ „პარიჟსკაია კომუნას“ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდა და მოვუგეთ კი ანგარიშით 11:0. ბაპას თამაშით მოვიხიბლეთ ყველანი: ჩვენც, მაყურებლებიც და მოწინააღმდეგეებიც. მან 6 ბურთი გაიტანა!

ახლა დადგა დრო, როცა ბათუმის ფეხბურთი კვლავ უნდა გამოვიდეს დიდ გზაზე. საამისო პოტენციალი და კადრები მას ჰყავს. საჭიროა მხოლოდ დრო, მონდომება, ყოველმხრივი ხელშეწყობა და მუშაობა. გულმოდგინე, დაუღალავი მუშაობა. სამოქმედო ასპარეზი მოგვეცა: „ა“ კლასის II ჯგუფი, სადაც ბევრი ცნობილი, ძლიერი გუნდი გამოდის, საკმაოდ თვალშესავლები მასშტაბებია საამისოდ, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა ძიონ შესაფერისი გასაქანი, გამოსცადონ თავიანთი ძალები და აღზარდონ მაღალი კვალიფიკაციის კადრები.

ბათუმის ფეხბურთის ტრადიციები უნდა აღდგეს!

## გუშინ...

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატზე გაიმართა IV ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. გიორგაძემ დაამარცხა მიქაელიანი, უბილავამ — გაბრიაძე, კერნოჟიცკიმ — მიქაძე. ამრიგად, 4 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: დავითაშვილი — 3,5 ქულა, ჩიქოვანი, გიორგაძე და უბილავა — 3-3.

* * *

გორში გაიმართა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის X ტური. ა. რაზოვსკიმ (ქუთაისი) მოუგო ვ. თოხაძეს (ლანჩხუთი), ა. გვენცაძემ (ამბროლაური) — რ. ჭყონიას (მახარაძე), ა. ჩხაიძემ (თეთრი წყარო) — გ. მარშიაშვილს (ლაგოდეხი), ნ. მოგირაძემ (ზუგდიდი) — შ. ურიდიას (გუდაუთა). აბაშელი ა. ყურაშვილისა და ბათუმელი გ. ცაგოიანის პარტია ყაიმით დამთავრდა. 10 ტურის შემდეგ რაზოვსკის 7,5 ქულა აქვს, გვენცაძეს — 6,5, თოხაძესა და ჩხაიძეს — 6-6 (9-დან).

# შრომისმოყვარეობა და ჟინი

თბილისში გაიმართა რესპუბლიკის საუკეთესო კალათბურთელ ჭაბუკთა და გოგონათა გუნდების ასპარეზობა. დედაქალაქის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორისა და რუსთავის მოაპარეზე კოლექტივები დაკომპლექტებული იყო 1949–50 წლებში დაბადებული სპორტსმენებით, ვინც გაისად, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში უნდა დაიცვას რესპუბლიკის ღირსება.

ასე რომ, ტურნირი ერთგვარად შესარჩევ ხასიათს ატარებდა. გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ ყოველი გუნდის თამაშს და სახავდნენ საქართველოს ნაკრების კანდიდატებს.

როგორც მოსალოდნელი იყო გოგონათა შორის ფავორიტებად მოგვევლინენ თბილისელები მათ დაუმარცხებლად დაიკავეს I ადგილი. II ადგილზეც თბილისელი მოსწავლეები გავიდნენ (II ნაკრები). III ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს. უნდა ითქვას, რომ ასპარეზობის პირველ დღეს ქუთაისელმა გოგონებმა გამანადგურებელი ანგარიშით (5:50!) წააგეს თბილისის II გუნდთან, მაგრამ შემდგომ მნიშვნელოვნად უმატეს თამაშს და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში დაყარეს ფარ-ხმალი მასპინძელთა I ნაკრებთან — 44:47.

ჭაბუკთა შორის პირველობის ბედი წყდებოდა თბილისის I გუნდისა და ქუთაისის კოლექტივის შეხვედრაში. ობიექტური მონაცემებით თბილისელთა შანსები, ასე ვთქვათ, უფრო მაღლა ფასობდა, მაგრამ ვერც უპირატესობამ ტექნიკურ მომზადებაში და ვერც სიმაღლემ ვერ შეძლო ქუთაისელთა გატეხვა. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ (14:19) სტუმრებმა შესანიშნავი შრომისმოყვარეობა და ნამდვილი სპორტული ჟინი გამოამჟღავნეს და გაიმარჯვეს — 44:41. ქუთაისელთაგან განსაკუთრებით ისახელეს თავი ე. შავგულიძემ (16 ქულა), დ. დევიძემ (13) და ა. ანთიძემ (12). თბილისელთაგან საუკეთესო იყო ნ. ფირცხალაიშვილი (12).

შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. აბაიშვილი).

ფ. ლეონიძე.

თბილისში სტუმრად იყვნენ კიევის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ფრენბურთელები. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზში უკრაინელებმა 3 შეხვედ-

## 1 მოგება, 2 წაგება

რა გამართეს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან ისინი დამარცხდნენ (2:3), ხოლო დანარჩენი 2 მატჩი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებლების ნაკრებთან და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან ერთნაირი ანგარიშით (3:2) მოიგეს.

# პროცესი დაიწყო

გასულ ხუთშაბათს მოსკოვში დაიწყო ყოფილი ფეხბურთელის ი. სევიდოვის პროცესი. საკდესის ერთ-ერთ სპორტულ მიმოხილვაში უკვე იყო მოთხრობილი შემოდგომაზე მომხდარ იმ ტრაგიკულ შემთხვევაზე. დილით „მოისაზრეს" არყით შეხურება. სამ კაცზე ერთი ბოთლი. ეცოტავათ. გაეშურნენ სოკოლნიკში, გამოფენაზე, მაგრამ ექსპონატების დასათვალიერებლად კი არა, არამედ ლუდის დასალევად. იმ დღეს ვარჯიში ჰქონდათ. მაგრამ ღირს კი? სევიდოვმა შინ შეიარა, ახალგაზრდა ცოლს ეჩხუბა და „ნერვების დასაწყნარებლად" სხვა ქალთან წავიდა. და აი, როცა მანქანას გიჟური სისწრაფით მიაქროლებდა, კაცი გაიტანა. იმის ნაცვლად, რომ მომაკვდავისთვის დახმარება აღმოეჩინა, სიმხდალე გამოიჩინა — ლაჩრულად გაიქცა.

თავისთავად ეს კატასტროფა შეიძლება არც მომხდარიყო. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ადრე თუ გვიან სევიდოვს მაინც შეემთხვეოდა მსგავსი რამ: მისკენ მიდიოდა საფეხბურთო მინდორსა თუ ყოფაში ამ თავგასული სპორტსმენის ბევრი ამორალური საქციელის ჯაჭვი.

სევიდოვის ამბავი შეიძლება ახლა არც კი ღირდეს სალაპარაკოდ, რომ გასულ კვირას საოცარი უმსგავსოება არ ჩაედინათ მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტებს (ლაპარაკია ბურთიან ჰოკეიზე). ისინი არხანგელსკიდან მოფრინავდნენ შინ, გზად დებოში ატეხეს, უხამსად ეცირჯდებოდნენ სტიუარდესას და მოსკოვის აეროდრომზე მათ მეგობრები და გულშემატკივრები კი არ დახვდნენ, არამედ მილიციის რაზმი.

# ჯერჯერობით ყველანი ტოლნი არიან

დავოსი, 21 თებერვალი. 14 ქვეყნის 100-ზე მეტი ფიგურისტი, რომლებიც შვეიცარიის ამ ცნობილ სამთო აგარაკზე ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, ჯერჯერობით ტოლნი არიან. ისინი გულდასმით ადევნებენ თვალს ერთმანეთის ვარჯიშს და თავიანთი ნომრების დეტალებს აშალაშინებენ.

დავოსის ხელოვნური ლია საციგურაოს ყინულზე პირველი ქარგა 22 თებერვალს დღისით დაიხაზება, როცა სავალდებულო პროგრამის შესასრულებლად გამოვლენ წყვილები. მათ შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონები, ლენინგრადელები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, რომლებმაც ამას წინათ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი ბრატისლავაში, ევროპის ჩემპიონატზე. გამოვლენ აგრეთვე ამ პირველობის ვერცხლის პრიზიორები ტ. ჟუკი და ა. გორელიკი. წყვილთა ასპარეზობა დამთავრდება 24 თებერვალს, როცა ისინი გვიჩვენებენ ნებისმიერ პროგრამას.

ამავე დღეებში იასპარეზებენ „ეული" ვაჟები, რომელთა შორის იქნება სსრ კავშირის ჩემპიონი, 20 წლის ვ. მეშკოვი. აქ გამარჯვებული გამოვლინდება 25 თებერვალს.

23 თებერვალს დაიწყება და 26-ში დამთავრდება შეჯიბრებები ყინულზე ცეკვაში. სარბიელზე ვიხილავთ სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონებს, მოსკოველებს ლ. პახომოვასა და ვ. რიჟკინს.

ფიგურისტ ქალთა შეჯიბრებაში (დაიწყება 25 თებერვალს და დამთავრდება 27-ში, კვირას) მონაწილეობას მიიღებს მოსკოველი მოსწავლე, 15 წლის ე. შჩეგლოვა.

ჩვენს გუნდში, სამწუხაროდ, არ არიან ამასწინანდელ უნივერსიადაში გამარჯვებულნი — ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი. ტარასოვას მეტისმეტად გულსატკენი დაშავების გამო (უნივერსიადაზე საპატიო წრის შემოვლისას იგი დაეცა) ეს წყვილი ვერ შეძლებს დავოსში გამოსვლას.

[illegible] „[illegible]პირი" რომლი დაიცავს [illegible] [illegible] დებას. აქ არ ჩამოვიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ა. კალმა (საფრანგეთი), ევროპის ორგზის ჩემპიონი რ. ჰაიტცერი (ავსტრია).

ჩემპიონატი ხვალ იწყება. ჯერჯერობით კი ყველანი ტოლნი არიან...

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1934 და 1938 წ. წ.).

I ჩემპიონატში იტალიელები არ მონაწილეობდნენ. II ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში მათ დაამარცხეს საბერძნეთის გუნდი — (4:0) და დიდი წარმატებით გამოვიდნენ ფინალში. აქ სძლიეს აშშ-ის გუნდს — 7:1, ესპანელებს — 1:1, 1:0, ავსტრიელებს — 1:0 და ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიელებს — 2:1. ამრიგად, იტალიელები პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები.

III გათამაშებაში იტალიამ მოუგო ნორვეგიას (2:1), საფრანგეთს (3:1), ბრაზილიას (2:1), ფინალში — უნგრეთს (4:2) და შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონობა.

IV პირველობაში იტალიელებმა სერიოზული მარცხი განიცადეს და ვერ მოხვდნენ დასკვნით ოთხეულში, რომელმაც წრიული სისტემით გააგრძელა თამაში. იტალიელებმა წააგეს შვედებთან (2:3) და მოუგეს პარაგვაელებს (2:0).

V ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა ორჯერ სძლიეს ეგვიპტელებს (2:1, 5:1), ფინალში წააგეს შვეიცარიასთან (1:2), მოუგეს ბელგიელებს (4:1), გადამწყვეტი მატჩი მეოთხედფინალში იტალიამ წააგო კვლავ შვეიცარიასთან — 1:4.

VI ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა ერთი მატჩი მოუგეს ჩრდილოეთ ირლანდიას (1:0), მეორე — წააგეს (1:2) და ასევე ითამაშეს პორტუგალიასთან (3:0, 0:3). ფინალში გავიდა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი.

VII გათამაშების შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა ორჯერ სძლიეს ისრაელის გუნდს (4:2, 6:0) და გავიდნენ ფინალში. აქ ფრედ (0:0) ითამაშეს გფრ-ის გუნდთან, წააგეს ჩილიელებთან (0:2) და მოუგეს შვეიცარიას (3:0).

VIII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა ორჯერ დაამარცხეს ფინეთი (2:0, 6:1), პოლონეთთან ერთი მატჩი ფრედ დაამთავრეს (0:0), მეორე კი მოიგეს (6:2). მთავარ მეტოქესთან — შოტლანდიასთან იტალიელებმა ჯერ წააგეს (0:1), შემდეგ მოიგეს (3:0) და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

ახლანდელი ნაკრების ძირითადი კანდიდატებია: **მეკარეები** — სარტი, ნეგრი, ალბერტოზი; **მცველები** — ბურგნიჩი, ფაკეტი, პიკი, სალვადორე; **ნახევარმცველები** — ლოდეტი, ტრაპატონი, ბულგარელი; **თავდამსხმელები** — მორა, პასკუტი, მაცოლა, რივერა, ბარისონი, კორსო.

მათ გარდა წამოყენებულია ნაკრების რამდენიმე სხვა კანდიდატიც. მათ შორის ყველაზე დიდ დავას იწვევს „მილანის" ცენტრალური თავდამსხმელი სორმანი. გუნდის მწვრთნელს ე. ფაბრის იგი ნაკრებში არ შეჰყავს პრინციპული მოსაზრებით, როგორც არაიტალიური (ბრაზილიური) სკოლის წარმომადგენელი. ამავე მოტივით საბოლოოდ უკუგდებულად მიაჩნიათ ნაკრების სხვა ორი ყოფილი წევრის — ალტაფინისა და სივორის კანდიდატურებიც.

• • •

სურათზე: მომენტი მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩიდან იტალიისა და პოლონეთის გუნდებს შორის. აქ აღბეჭდილია მეხუთე ბურთი პოლონელთა კარში (შეხვედრა მოიგეს იტალიელებმა — 6:1). ბურთის ავტორია ჯ. რივერა, რომელიც მიწაზეა გართხმული.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეცისა" (პოლონეთი).



ფეხბურთი — ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

# „მილანი" ეწევა „ინტერს"

ცუდად ითამაშა იტალიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ქვეყნის ჩემპიონმა — მილანის „ინტერნაციონალემ". კატანიაში მან წააგო ადგილობრივ „კატანიასთან" — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი მე-18 წუთზე თავით გაიტანა მარცხენა გარემარბმა ფაკინმა. მატჩის მიწურულში „ინტერი" შტურმზე გადავიდა. მილანელთა მარცხენა მცველის ფაკეტის ორი ძლიერი დარტყმა „კატანიას" მეკარე ვავასორიმ კუთხურზე მოიგერია. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში დღეს „ინტერნაციონალე" მილანში ხვდება ბუდაპეშტის „ფერენცვაროშს".

„მილანმა" საკუთარ მინდორზე მოუგო „სპალს" — 2:0. 22 ტურის შემდეგ „ინტერნაციონალე" მაინც ინარჩუნებს ლიდერობას — 32 ქულა. „მილანი" მას 1 ქულით ჩამორჩება, მაგრამ 21 მატჩი აქვს ჩატარებული.

(საქ. ინფ.).



▲ **თეირანი.** ირანში საასპარეზოდ ჩამოვიდა ბულგარეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები. ძველი მეტოქეების შეხვედრამ თეირანის სპორტის მოყვარულთა განუზომელი ინტერესი გამოიწვია. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 4,5:3,5. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი წმინდა გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა პ. გარჯევმა (საშუალო წონა), რომელმაც მოუგო ს. მოიზეპფურს.

▲ **ლიუბლიანა.** იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაცია შეუთანხმდა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას ევროპისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის ამხანაგური მატჩების მოწყობის თაობაზე. შეხვედრები გაიმართება ლიუბლიანაში ა. წ. 14 და 16 ოქტომბერს.

▲ **ლაიპციგი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი ველოკროსში გახდა ბერლინელი გ. ლიბოლდი. 18,6 კმ მან დაფარა 46 წუთსა და 16 წამში.

▲ **მილანი.** მწვავე ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივ ტრეკზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, გფრ-ისა და შვეიცარიის ველოსიპედისტები. საუკეთესო შედეგს მიაღწია იტალიელთა წყვილმა: ტურინიმ და რონკალიამ 90 ქულა მოაგროვეს. 50 წრეზე რბოლაში ყველას აჯობა ელინევმა (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც საათში საშუალოდ განავითარა 44,709 კმ სისწრაფე.




## ტურიზმის მოყვარულთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა საკავშირო პროფსაბჭოს ახალ ილუსტრირებულ ჟურნალზე „ტურისტი" (ინდექსი 70980).

ყოველი ტურისტი, მოგზაური, ბუნების მოტრფიალე და ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილთა მოყვარული ამ ჟურნალის სახით შეიძენს კარგ თანამგზავრსა და მრჩეველს.

ჟურნალში, რომელიც თვეში ერთხელ გამოდის, თანამშრომლობენ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, ტურისტები.

ჟურნალი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. წლიურად მისი გამოწერა ღირს 4 მან. და 80 კაპ., კვარტალში — 1 მან. და 20 კაპ. ერთი ნომრის ფასია 40 კაპ.

ხელმოწერა ჟურნალზე შეუზღუდავია და შეიძლება ყოველი მორიგი ნომრიდან. ხელმოწერა წარმოებს „სოიუზპეჩატის" პუნქტებში, კავშირგაბმულობის განყოფილებებში, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლების საშუალებით.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 23-28 თებერვალი. სსრ კავშირის პირველობა ქალთა გუნდებს შორის. „ა" კლასი (II წრე, I ტური). დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 17 ს. **ასკ** (ლენინგრადი) — „**ბურევესტნიკი**" (როსტოვი), 18 ს. 30 წ. „**ურალმაში**" (სვერდლოვსკი) — „**დინამო**" (ნოვოსიბირსკი), 20 ს. **სპი** (თბილისი) — „**დინამო**" (მოსკოვი).

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრო. № 48). 24 თებერვალი-5 მარტი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66118

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05859